# თავი 17. ბანკის ამონაწერის იმპორტი

ორის ბუღალტერიაში ბანკის ამონაწერის იმპორტი შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციებიდან ოპერაციის "**ბანკის ამონაწერის იმპორტი**" შესრულებით. ძირითადი მენიუდან "**ოპერაციები**" აირჩიეთ ქვემენიუ "**სამეურნეო ოპერაციები**" ან ინსტრუმენტების პანელზე დააჭირეთ ღილაკს "**სამეურნეო ოპერაციები**" და შეასრულეთ ოპერაცია "**ბანკის ამონაწერის იმპორტი**" .ოპერაციის შესრულებისას იხილავთ ეკრანს "**Import Bank Statement**".




ბანკის ამონაწერის იმპორტის ეკრანში მოცემულია სამი ბარათი: მთავარი, დეტალურად და პარამეტრები.

განვიხილოთ პირველი ბარათი - **მთავარი**:

ველში "**ფორმატი**" უნდა აირჩიოთ ბანკის ამონაწერის იმპორტის ფაილის ფორმატი. პროგრამაში შესაძლებელია მივიღოთ სამი სახის ფორმატის ფაილი, ესენია:

1. "საქართველოს ბანკი"- ინტერნეტ ბანკის ამონაწერი CSV ფორმატში;
2. "ALTA" – ბანკი-კლიენტის ამონაწერი XMLფორმატში;
3. "TBC ბანკი" – ინტერნეტ ბანკის ამონაწერი XMLფორმატში;

***შენიშვნა***: თუ თქვენ ასრულებთ "TBC ბანკი"-ს ინტერნეტ ბანკიდან უცხოური ვალუტის ამონაწერის იმპორტს, მაშინ "TBC ბანკი"-ს ინტერნეტ ბანკიდან ამონაწერის ფაილის დაფორმირების დროს აუცილებლად მონიშნეთ ველი "**ექვივალენტი ლარში**".




წინააღმდეგ შემთხვევაში უცხოური ვალუტის ბანკის ამონაწერის გატარებებს პროგრამა არ შეასრულებს.

ველში "**ბანკის ანგარიში**" უნდა აირჩიოთ ანგარიში ანგარიშთა გეგმიდან, რომელზეც შესრულდება ბანკის კონკრეტული ანგარიშის ამონაწერის იმპორტის გატარებები. ამისათვის დააჭირეთ ღილაკს [...] -"**ანგარიშთა სია**", იხილავთ ანგარიშთა გეგმას, საიდანაც აირჩიეთ შესაბამისი ბანკის ანგარიში. მაგ: 1210.

***შენიშვნა***: იმ შემთხვევში თუ თქვენ სარგებლობთ სხვადასხვა საბანკო ანგარიშებით, მაშინ ყველა ანგარიშისათვის ანგარიშთა გეგმაში უნდა გქონდეთ დამატებული კონკრეტული ქვეანგარიშები, რომლებზეც შესრულდება კონკრეტული საბანკო ანაგარიშის ამონაწერის იმპორტის ოპერაციები. მაგ: 1210 1 – საქართველოს ბანკის ლარის ანგარიში, 1210 2 – TBC ბანკის ლარის ანგარიში და ა.შ.

იმპორტის ფაილის ფორმატის და ბანკის ანგარიშის არჩევის შემდეგ უნდა აირჩიოთ არჩეული ფორმატის შესაბამისი ფაილი ღილაკზე "**ფაილი იმპორტისათვის**" დაჭერით.

თუ ამონაწერის იმპორტის ფაილში მოცემულია სხვადასხვა ანგარიშის და ვალუტის ამონაწერი, მაშინ საიმპორტო ფაილის არჩევის შემდეგ იხილავთ ეკრანს:




მონიშნეთ ის ანგარიში, რომლის ამონაწერის იმპორტის შესრულებაც გსურთ და დააჭირეთ “OK“-ს.

არჩეული ფაილის იმპორტის შემდეგ ველში “**ვალუტა**” ჩაიწერება ბანკის ანგარიშის ვალუტა, ხოლო ველში “**ანგარიში ბანკში**” – ანგარიშის ნომერი.

თუ დააჭერთ ღილაკს “**გავანულოთ ვალუტა და ანგარიში ბანკში**”, მაშინ ველები “**ვალუტა**” და “**ანგარიში ბანკში**” გასუფთავდება. ეს ღილაკი უნდა გამოიყენოთ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშთა გეგმიდან არჩეულ ბანკის ანგარიშზე გსურთ სხვა ვალუტაში ან სხვა ბანკის ანგარიშზე არსებული ამონაწერის მიღება.

ამონაწერის იმპორტის ფაილის ჩატვირთვის შემდეგ იხილავთ ეკრანს:



სადაც ეკრანის ქვედა მხარეს გამოჩნდება ამონაწერის იმპორტში არსებული გატარებები ყველა საჭირო რეკვიზიტით: შევასრულოთ, თარიღი, დოკუმენტის ნომერი, დებეტი (ანგარიშზე ჩარიცხული თანხა), კრედიტი (ანგარიშიდან გადარიცხული თანხა), ანგარიში, გამგზავნი, მიმღები და ა.შ.

ველი "**შევასრულოთ**" უნდა იყოს მონიშნული იმ ჩანაწერებისათვის, რომლის შესაბამისი საბუღალტრო ოპერაციაც გსურთ რომ შესრულდეს, თუ აღნიშნული ველი გადანიშნულია, მაშინ ასეთი ჩანაწერის შესაბამისი საბუღალტრო ოპერაცია არ შესრულდება. შესაძლებელია აღნიშნული ველის მონიშვნა ან გადანიშვნა ერთ ან ყველა მონიშნული ჩანაწერისათვის ერთდროულად, ღილაკის - "**მოვნიშნოთ / გადავნიშნოთ ველი [შევასრულოთ] მონიშნული ჩანაწერ(ებ)ისთვის – F2**" გამოყენებით.

***შენიშვნა***: შესაძლებელია მხოლოთ ყვითელი ფერის მქონე სვეტების კორექტირება, ესენია: შევასრულოთ, ანგარიში, ანალიზური ველი და პროექტი.

ღილაკით - "**ავირჩიოთ ანგარიში მონიშნული ჩანაწერ(ებ)ისთვის – Ctrl+B**" შეგიძლიათ ანგარიშთა გეგმიდან აირჩიოთ ანგარიში ერთი ან ყველა მონიშნული ჩანაწერისთვის ერთდროულად.

ღილაკით -"**ავირჩიოთ CashFlow კატეგორია მონიშნული ჩანაწერ(ებ)ისთვის - Ctrl+C**" შეგიძლიათ აირჩიოთ CashFlow-ს კატეგორია ერთი ან ყველა მონიშნული ჩანაწერისთვის ერთდროულად.

ღილაკით - "**ავირჩიოთ პროექტი მონიშნული ჩანაწერ(ებ)ისთვის - Ctrl+P**" შეგიძლიათ აირჩიოთ პროექტი ერთი ან ყველა მონიშნული ჩანაწერისთვის ერთდროულად.

ღილაკით - "**გავწმინდოთ მონიშნული ყვითელი ველის მნიშვნელობა მონიშნული ჩანაწერ(ებ)ისათვის - Delete**" შეგიძლიათ გაწმინდოთ ყვითელი ფერის ველებში არსებული ინფორმაცია ერთი ან ყველა მონიშნული ჩანაწერისთვის ერთდროულად.

ღილაკით - "**ძიება - F5**" შეგიძლიათ მოძებნოთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია.

ღილაკით - "**გატარებების Export/Import**" შესაძლებელია ეკრანში არსებული გატარებების ექსპორტი XML ფორმატის ფაილში, ასევე XML ფორმატის ფაილში არსებული ინფორმაციის იმპორტი.

ბარათში "**დეტალურად**" შეგიძლიათ ნახოთ ბარათში "**მთავარი**" მონიშნული გატარების დეტალური ინფორმაცია:




ბარათში"**პარამეტრები**" მოცემულია ბანკის ამონაწერის იმპორტის გატარებების პარამეტრები:




პარამეტრების ეკრანი გაყოფილია ორ ნაწილად:

**"ჩარიცხვის ოპერაციების შემთხვევაში (თუ ჩანაწერში არსებობს გამგზავნის კოდი)".**

თუ ველი "**დავუმატოთ ახალი გამგზავნი ორგანიზაციების სიაში**" მონიშნულია ორგანიზაციების სიაში პროგრამა ავტომატურად დაამატებს ახალი ორგანიზაციის ჩანაწერს, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციების სიაში პროგრამა ვერ მოძებნის ბარათი "მთავარი"-ს ველში "გამგზავნის კოდი" მითითებული კოდის ჩანაწერს.

თუ ველი "**მოვძებნოთ გამგზავნი ორგანიზაცია სინთეზური ანგარიშის ქვეშ**" მონიშნულია, მაშინ პროგრამა ანგარიშთა გეგმაში მოძებნის ამ ველში მითითებულ ანგარიშის ქვეშ გამგზავნი ორგანიზაციის ანგარიშს და ჩაწერს მას ბარათ "მთავარი"-ს ველში **ანგარიში**.

თუ ველი "**გავხსნათ საავანსო ანგარიში სინთეზური ანგარიშის ქვეშ**" მონიშნულია და ორგანიზაციის მიმდინარე ანგარიშზე არ არის საკმარისი ნაშთი (პროგრამა ნაშთს ამოწმებს ამონაწერში მითითებული ვალუტისათვის), მაშინ პროგრამა ავტომატურად გახსნის გამგზავნი ორგანიზაციის ანგარიშს აღნიშნულ ველში მითითებული ანგარიშის ქვეშ და ჩაწერს მას ბარათ "მთავარი"-ს ველში **ანგარიში.**

**"გადარიცხვის ოპერაციების შემთხვევაში"**

თუ ველი "**მოვძებნოთ მიმღები ორგანიზაცია სინთეზური ანგარიშის ქვეშ**" მონიშნულია, მაშინ ამ ველში მითითებული ანგარიშის ქვეშ პროგრამა მოძებნის მიმღები ორგანიზაციის ანგარიშს, თუ ბარათი "მთავარი"-ს ველში **მიმღების კოდი** მითითებულია 9 თანრიგა კოდი.

თუ ველი "**მოვძებნოთ მიმღები თანამშრომელი სინთეზური ანგარიშის ქვეშ**" მონიშნულია, მაშინ ამ ველში მითითებული ანგარიშის ქვეშ პროგრამა მოძებნის მიმღები თანამშრომლის ანგარიშს, თუ ბარათი "მთავარი"-ს ველში **მიმღების კოდი** მითითებულია 11 თანრიგა კოდი.

ბანკის ამონაწერის იმპორტის ოპერაციის დასრულების შემდეგ სისტემა იმახსოვრებს არჩეულ კომბინაციას: ამონაწერის ფაილის ფორმატს, ბანკის ანგარიშს (ანგარიშთა გეგმიდან), ვალუტას და ანგარიშს ბანკში. ანგარიშთა გეგმიდან ბანკის ანგარიშის არჩევის შემდეგ პროგრამა ავტომატურად ამოიღებს დამახსოვრებულ ინფორმაციას. იმ შემთხვევაში თუ ამონაწერის ფაილის ფორმატს დავუკავშირებთ ისეთ ანგარიშს (ანგარიშთა გეგმიდან) რომელიც უკვე გამოყენებული იყო სხვა ფორმატის დროს გამოვა შეტყობინება:




ღილაკზე "Yes" დაჭერით პროგრამა მიაკუთნებს ბანკის ანგარიშს ახალ ფორმატს, ხოლო ღილაკზე "No"-ს დაჭერით ეკრანზე იხილავთ არჩეულ ანგარიშზე დამახსოვრებულ წინა კომბინაციას.

***შენიშვნა***: თუ თქვენ სარგებლობთ "ორის ბუღალტერიის" ერთვალუტიანი ლიცენზიით და ასრულებთ უცხოური ვალუტის ბანკის ამონაწერის იმპორტს, ასეთ შემთხვევაში პროგრამა ამონაწერის იმპორტის საბუღალტრო გატარებებს შეასრულებს ექვივალენტური თანხებით, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: ბარათი "**მთავარი**"-ს ველი "**კურსი**" გამრავლებული ველი "**დებეტი**"-ს (ჩარიცხვის შემხვევაში) ან ველი "**კრედიტი**"-ს (გადარიცხვის შემთხვევაში) მნიშვნელობაზე.

ბანკის ამონაწერის იმპროტის ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „**OK**“ და შემდეგ ”**დასასრული**”. სისტემა შეასრულებს ბანკის ამონაწერის იმპროტის საბუღალტრო გატარებებს.